

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი №29

ქ. თბილისი

2018 წელი, 2 ოქტომბერი, 14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ბექა დავითულიანი, დავით უთმელიძე, გოჩა თევდორაძე, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, დავით უჯმაჯურიძე, ვახტანგ შაქარიშვილი

სხდომას თავმჯდომარეობდა: რევაზ სოხაძე

სხდომას არ ესწრებოდა: გიორგი გაბაშვილი, თევდორე ისაკაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

გვანცა ნიკოლაიშვილი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

მარიამ თავაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი

ნინო კვეტენაძე - თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი

დღის წესრიგი:

1. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, კაიროს ქ. N81-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.19.22.011.012) სამეურნეო და საწარმოო ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-0318271150-03);
2. ქალაქ თბილისში, ლიპტოვის ქ. N8, N17, ბემენოვას ქ. N7, N7ა, N24, N30-სა და თბილისის ზღვის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების

რეგულირების გეგმის კორექტირებულ პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-0318271151-03);

3. ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.08.07.534) აეროსადგურის (შვეულმფრენების ცენტრი) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების დამტკიცების თაობაზე (#12-031826310-03)
4. ქალაქ თბილისში, გლდანი, I მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, ფორე მოსულიშვილის ქუჩა N1/ ქალაქი თბილისი, გლდანი I მიკრო/რაიონი, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.174) და ქალაქ თბილისში, ფორე მოსულიშვილის ქუჩა N1-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.130) არსებულ მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე (#12-031826312-03)
5. „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №13-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ (ს/კ: №01.15.04.017.027), 5 კვ.მ (ს/კ: №01.15.04.017.028) და 20 კვ.მ (ს/კ: №01.15.04.017.029) მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი-ემ-თი სასტუმროებისთვის“ (ს/ნ: 203842333) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-031826992-03);
6. „ქალაქ თბილისში, აბანოს ქ. №8-ში მდებარე 44 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.04.019.048) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გე-ტე-გე“-სთვის (ს/ნ: 405150189) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-031826992-03);
7. „ქალაქ თბილისში, წავკისის ქ. #13-ში მდებარე 763 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: #01.15.05.087.019) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-031826992-03);
8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა N 37ა-ში, ვერის პარკში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.03.010.089) ა(ა)იპ „საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისთვის“ (ს/კ 203845385) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 28 სექტემბრის

N36.19.696 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-0318271148-03)

9. „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი №28-ის მიმდებარედ 30 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.15.05.010.032 პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაქრო ქონსორაქშენის-თვის“ (ს/ნ: 445433120) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-0318271148-03)
10. „სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/კ: 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-0318271148-03)
11. "ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი №67-ში მდებარე 18 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.17.12.009.008) პირდაპირი განკარგვის წესით სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/ნ: 204854595) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე " თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-0318271148-03)
12. "ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის IV მიკრორაიონის, მე-2 კვარტალის, კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებული 2244 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.07.024.078) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-0318271148-03)
13. ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის მოწონების თაობაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-0318271149-03)
14. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის

დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების განხორციელების შესახებ (12-0318271170-03)

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტოს მიერ რიგი ღონისძიებათა განხორციელების შესახებ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-0318271171-03)
16. „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 24 სექტემბრის NE-218-12-7711 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის ოდენობის შეცვლისა და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან ფიზიკური პირის - ნიკა ლობჯანიძის (პ/ნ:60001122517) გათავისუფლების თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-031827414-03)
17. “შპს „მკ დეველოპმენტსა“ (ს/ნ 205049712) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს შორის 2017 წლის 7 დეკემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-384-16-21783 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-031827414-03)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. ქ. თბილისში, სამგორის რაონში, კაიროს ქ. N81-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.19.22.011.012) სამეურნეო და საწარმოო ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე **(12-0318271150-03);**

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, წარმოდგენილ

მიწის ნაკვეთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის N#165 განკარგულებით ტექსტილის ფაბრიკების პროექტის დასამუშავებლად დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

დადგენილია, რომ ამავე მიწის ნაკვეთზე „ქ. თბილისში, სამგორის რაონში, კაიროს ქ. N81-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.19.22.011.012) სამეურნეო და საწარმოო ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N203 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1505145 განაცხადის შესაბამისად.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე - მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). ხოლო, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამრეწველო ზონა მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ სამრეწველო გამოყენების ან/და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე ნივთიერებების მართვისთვის განკუთვნილ ტერიტორიებს; ხოლო მე-5 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამრეწველო ზონა 1 (ს-1) შერეული სამრეწველო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საწარმოო და სამრეწველო გამოყენების ტერიტორიებს.

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით დაგეგმილია არსებული ზონირების შესაბამისად სამრეწველო კომპლექსის (ტექსტილის ფაბრიკების), ავტოსადგომის, მცირე არქიტექტურული ფორმების (დაცვის ჯიხური) განთავსება. კერძოდ: მამაკაცის, ქალის და ბავშვის წინდების წარმოებას, წარმოება ხდება უკვე დაფასოებული და ადგილზე მიწოდებული ძაფით. ვინაიდან, სამრეწველო ზონა 1-ში (ს-1) კ-1 და კ-2 მაჩვენებლები მოქმედი კანონმდებლობის მიხედვითარ არის დადგენილი, პროექტში წარმოდგენილია მათი საანგარიშო ფართობები. კ-1 = 4011,2 მ², კ-2 = 5524 მ², კ-3 = 0,1. კორექტირებული გრგ-ს პროექტი ითვალისწინებს საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ- დასავლეთით განთავსებული ფაბრიკის კონფიგურაციის ცვლილებას, კერძოდ: კ-1 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი 4011,2 მ² იზრდება 5200 მ²-მდე, ხოლო კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი 5524 მ² იზრდება 7280 მ² - მდე, მათი სიმაღლე სართულიანობა რჩება უცვლელი. საპროექტო

ტერიტორიის აღმოსავლეთით პირველი ეტაპის მშენებლობა (ტექტილის ქარხანა) დასრულებულია.

წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის თანახმად, იზრდება საპროექტო ფაბრიკის კონფიგურაცია, მოცულობა, რომელიც არსებითად არ ცვლის დამტკიცებული პროექტით დაგეგმილ განაშენიანებას, არ იცვლება დადგენილი სართულიანობა, სიმაღლე და დაცულია სამრეწველო ზონა 1-ში (ს-1) დადგენილი კ-3-ის მინიმალური მაჩვენებელი.

ზ/აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად მიზანშეწონილია, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N203 განკარგულებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილებების შეტანა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქ თბილისში, სამგორის რაონში, კაიროს ქ. N81-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.22.011.012) სამეურნეო და საწარმოო ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ“ გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. ქალაქ თბილისში, ლიპტოვის ქ. N8, N17, ბემენოვას ქ. N7, N7ა, N24, N30-სა და თბილისის ზღვის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-0318271151-03);

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი (წერილის ნომერი: 12-0318271151-03 28.09.2018წ.) აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმა მომზადებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ლიპტოვის ქ. N8, N17 (საკადასტრო კოდი: N01.12.21.001.211, N01.12.21.001.209) ბემენოვას ქ. N7, N7ა, N24, N30-სა (საკადასტრო კოდი: N01.12.21.001.273, N01.12.21.001.217, N01.12.21.001.210, N01.12.21.001.212) და თბილისის ზღვის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.12.21.001.179, N01.12.21.001.200, N01.12.21.001.201) არსებულ მიწის ნაკვეთებს რომელთა ჯამური ფართობია 239295 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ლიპტოვის ქ. N8, N17(საკადასტრო კოდი: N01.12.21.001.211, N01.12.21.001.209) ბემენოვას ქ. N7, N7ა, N24, N30-სა (საკადასტრო კოდი: N01.12.21.001.273, N01.12.21.001.217, N01.12.21.001.210, N01.12.21.001.212) და თბილისის ზღვის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.12.21.001.179, N01.12.21.001.200, N01.12.21.001.201) არსებულ მიწის ნაკვეთებზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). „ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლიპტოვის ქ. N8, N17-ში, თბილისის ზღვა, ბემენოვას ქ. N7, N7ა, N9, N22, N24, N26, N28, N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის N164 განკარგულებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიისათვის დადგენილია სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). „ქ. თბილისში, ლიპტოვის ქ. N8, N17-ში, თბილისის ზღვა, ბემენოვას N7, N7ა, N9, N22, N24, N26, N28, N30- ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 სექტემბრის N272 განკარგულების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე შეთანხმდა მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

„ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლიპტოვის ქ. N8, N17-ში, თბილისის ზღვა, ბემენოვას ქ. N7, N7ა, N9, N22, N24, N26, N28, N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის N164 განკარგულებით საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა მრავალფუნქციური (სპორტულ - გამაჯანსაღებელი, სასტუმრო, სასკოლო და სკოლამდელი ასაკის საბავშვო სპეციალიზირებული დაწესებულება, პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი, დასასვენებელი სახლები, საოფისე, კვების, სავაჭრო ობიექტები). აღნიშნული მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია გამოიჯნულია 5 მიწის ნაკვეთად: სექტორი I - 15 602 კვ.მ (რზ-3), სექტორი II - 7 213 კვ.მ (რზ-3), სექტორი III - 109 468 კვ.მ (რზ-3), სექტორი IV - 100 701 კვ.მ (რზ-3), სექტორი V - 6311 კვ.მ (ტზ-1). N01182422712-67 განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად, იცვლება მიწის ნაკვეთების განაწილების სქემა, კერძოდ 5 სექტორის ნაცვლად საპროექტო ტერიტორია იმიჯნება 11 სექტორად: სექტორი N1 იყოფა ორ ნაწილად (სექტორი N1 და სექტორი N2) გამოიჯნის შედეგად არ იცვლება განაშენიანების ინტენსივობის ფართობები, სექტორი N2 იცვლება სექტორ N3-ად, არ იცვლება განაშენიანების ინტენსივობის ფართობები, აკლდება ერთი სართული. სექტორი N3 იყოფა ოთხ სექტორად (სექტორი N4, სექტორი N5, სექტორი N7, სექტორი N8). ზემოაღნიშნული სექტორების არეალში დაგეგმილი 12 სართულიანი საოფისე

შენობა იცვლება 10 სართულიანი სასტუმროს შენობით, ხოლო სასკოლო და სკოლამდელი ასაკის საბავშვო სპეციალიზირებულ დაწესებულებას და სამედიცინო ცენტრს ემატება ერთი სართული. აღნიშნული ცვლილებების შედეგად საერთო ჯამში განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობი იკლებს 4750 მ2-ით. სექტორი N5 უშუალოდ ესაზღვრება თბილისის ზღვის სანაპირო ზოლს. ვინაიდან ამჟამად მიმდინარეობს კვლევითი სამუშაოები, სასმელი წყლის რეზერვუარის ზუსტი სანიტარული დაცვითი ზონების დასადგენად, სექტორ N5-ში დაგეგმილი მშენებლობა დაზუსტდება კვლევითი სამუშაოების დასრულების შემდგომ. სექტორი N4 გაიყო სამ სექტორად (სექტორი N9; N10; N11) თუმცა დაგეგმილი სამუშაოები რჩება უცვლელი, კერძოდ: სექტორ N9 და სექტორ N10 წარმოდგენილია მრავალფუნქციური ცენტრის (სასტუმრო გასართობი ცენტრი მაღაზიები, ბუტიკები, კვების ობიექტები და.ა.შ სარეკრეაციო ზონა 3-ში (რზ-3) დასაშვები სახეობების შესაბამისად) პერსპექტიული განვითარების ესკიზური ვარიანტი, რომლის კონტური პირობითია და წამოადგენს სამომავლო, მე-2-ე ეტაპის დაგეგმილ სამუშაოებს, რომელიც შესაძლოა შეიცვალოს კონკრეტული პროექტის დამუშავების შემდგომ. სექტორ N11-ში მშენებლობა დასრულებულია. წარმოდგენილი კორექტირებული პროექტით ცვლილება არ იგეგმება.

„ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლიპტოვის ქ. N8, N17-ში, თბილისის ზღვა, ბეშენოვას ქ. N7, N7ა, N9, N22, N24, N26, N28, N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის N164 განკარგულებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით დადგენილი მიწის ნაკვეთის განაშენიანების (კ-1), მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის (კ-2) და მიწის ნაკვეთის გამწვანების(კ-3) კოეფიციენტები იცვლება ისე, რომ არ იმატებს დადგენილი განაშენიანების და განაშენიანების ინტენსივობის საანგარიშო ფართობები, სექტორ N3-ში და N7-ში განთავსებულ სასტუმროს შენობა-ნაგებობებს აკლდება სართულიანობა და 14, 12 სართულის ნაცვლად წარმოდგენილია 11, 10 სართული.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლიპტოვის ქ. N8, N17-ში, თბილისის ზღვა, ბეშენოვას ქ. N7, N7ა, N9, N22, N24, N26, N28, N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების საკითხი, (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული 01182422712-67 განაცხადი) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

3. ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.08.07.534) აეროსადგურის (შვეულმფრენების ცენტრი) განაშენიანების

რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების დამტკიცების თაობაზე (#12-031826310-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, დიდ ლილოში (საკადასტრო კოდი: N81.08.07.534) და მოიცავს 33 840 კვ. მ-ს.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.08.07.534) ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) და მცირედზე - ლანდაფტურ - სარეკრეაციო ზონა (ლსზ).

N81.08.07.534 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქალაქ თბილისის აღმოსავლეთ ნაწილში, სოფელ დიდი ლილოს სამხრეთ-აღმოსავლეთით 2.0-2.5კვ მანძილზე. იგი მოიცავს მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მაღალი ტერასული საფეხურის სწორი ზედაპირის ფრაგმენტს, რომელიც ამავედროულად მდინარე ორხევის შენაკადების მდინარე ხევადალას და ცოდვიანთ ხევის წყალგამყოფია. საპროექტო და მიმდებარე ტერიტორია გაუნაშენიანებელია, დაფარულია ბალახის საფარით და არ აღინიშნება მწვანე ნარგავები. სატრანსპორტო კავშირი ხორციელდება კახეთის გზატკეცილიდან, ერეკლე მეორეს ქუჩასა და ა. ჯაფარიძის ქუჩების მეშვეობით. საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებებისგან შემზღვეველი კონუსური ზედაპირის გავრცელების შეზღუდვა, რომელიც გულისხმობს მიწის დონიდან +15 მეტრიანი სიმაღლის შეზღუდვას შენობა-ნაგებობებისათვის (საშუალო ზღვის დონიდან +729.5 მეტრს).

0118235681-67 განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად, იგეგმება აეროსადგურის, კერძოდ კი შვეულმფრენების ცენტრის განთავსება. ტერიტორიაზე ძირითადად განთავსდება 15 მეტრამდე სიმაღლის ერთი ან რამოდენიმე ინდივიდუალური - ბლოკირებული შენობა-ნაგებობა. მოეწყობა ასაფრენი ბილიკი და პარკინგი. გათვალისწინებულია შვეულმფრენების მომსახურეობა და სადგომი, მფრინავთა, ტექნიკოსთა და სტუდენტთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, ტურისტული გადაყვანები, საჭიროების შემთხვევაში გადაუდებელი სამედიცინო და სამაშველო მომსახურეობა. საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონების ცვლილებას. კერძოდ: არსებული სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ) იცვლება სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 27 ივნისის N16-01181782341 წერილის შესაბამისად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების ეტაპზე წარმოდგენილ უნდა იქნას საპროექტო ტერიტორიის მოძრაობის ორგანიზების სქემა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 25 ივნისის N18-0118176515 წერილის მიხედვით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-8 მუხლის 1² პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ მოიცავს დაგეგმილი გამწვანების პროექტის შესახებ ზოგად ინფორმაციას და ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების (არსებობის შემთხვევაში) ხარისხობრივ შეფასებას (ტაქსაციას). ამასთანავე, შესაძლებელია გადასარგავი და საკომპენსაციოდ დასარგავი ხეები გათვალისწინებულ იქნეს გამწვანების ზოგად მონაცემებში, რომლის დეტალური პროექტიც უნდა დამუშავდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.08.07.534) აეროსადგურის (შვეულმფრენების ცენტრი) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების პროექტის დამტკიცების საკითხი“ გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

4. ქალაქ თბილისში, გლდანი, I მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, ფორე მოსულიშვილის ქუჩა N1/ ქალაქი თბილისი, გლდანი I მიკრო/რაიონი, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.174) და ქალაქ თბილისში, ფორე მოსულიშვილის ქუჩა N1-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.130) არსებულ მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე (#12-031826312-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მოიცავს ქალაქ თბილისში, გლდანი, I მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, ფორე მოსულიშვილის ქუჩა N 1 / ქალაქი თბილისი, გლდანი I მიკრო/რაიონი, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.174) და ქალაქ თბილისში, ფორე მოსულიშვილის ქუჩა N1-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.130) არსებულ მიწის

ნაკვეთებს, რომელთა დაუზუსტებელი ჯამური ფართობია 8097 კვ. მ. აქედან, რეგისტრირებული ფართობია 7518 კვ. მ, ხოლო 579 კვ.მ დაურეგისტრირებელია.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, არსებულ მიწის ნაკვეთებზე, ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). იმავე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს პერიფერიულ ზონას (პზ) და გეგმარებით კარკასში (გკ).

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს დედაქალაქის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ურბანულ ცენტრში. მიმდებარე ტერიტორია დატვირთულია მრავალფუნქციური გამოყენების სახეობებით და წარმოადგენს მნიშვნელოვანი მიზიდულობის ცენტრს როგორც ქალაქისთვის, ისე უბნისთვის. ეს ერთის მხრივ, განპირობებულია ტერიტორიის მრავალფუნქციურობით, ხოლო, მეორეს მხრივ, ტერიტორიაზე მეტროს ბოლო სადგურის არსებობით. საპროექტო ტერიტორია დღევანდელი მდგომარეობით წარმოადგენს გლდანის ბაზრობას, რომელიც მდებარეობს მეტრო ახმეტელის მოპირდაპირე მხარეს. საპროექტო ტერიტორიასთან კავშირი ხორციელდება ი.ვეკუას, და მ.ნოზაძის ქუჩებიდან, ძირითადად საფეხმავლო დამაკავშირებელი ბილიკებით, რომელიც საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს. სატრანსპორტო წვდომა მოუწესრიგებელია და ხორციელდება ა.ბოჭორიშვილის ქუჩიდან. მიმდებარე განაშენიანება ქაოტურად არის განვითარებული. არსებული ბაზრის მდგომარეობა, არასახარბიელოა. არ არის დაცული სანიტარული ნორმები და დასაქმებულ პერსონალს მძიმე პირობებში უწევს მუშაობა.

N01181074-67 (N01182035-67) განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად, დაგეგმილია არსებული ბაზრის მოწესრიგება, ქაოტურად და თვითნებურად განვითარებული სავაჭრო დახლების ჩანაცვლება, სისტემურად დაგეგმარებული, დახლების ტიპის, თანამედროვე სავაჭრო პავილიონებით, რომლის მიხედვითაც, ტერიტორიაზე გადანაწილებული იქნება ფუნქციური დანიშნულებები, დაჯგუფდება მსგავსი ტიპის სავაჭრო ობიექტები. პროექტით ასევე, დაგეგმილია როგორც მსუბუქი კონსტრუქციის არაკაპიტალური, ისე კაპიტალური შენობა-ნაგებობების განთავსება სამეურნეო, სამაცივრე და ადმინისტრაციის სივრცეების მოსაწყობად. რაც შეეხება საავტომობილო გზებს, საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა დამოუკიდებელი საავტომობილო შესასვლელი, რომელიც დაუკავშირდება მომხმარებელთათვის მოწყობილ ავტოსადგომებს და სადისტრიბუციო მანქანებისთვის მოწყობილ სივრცეს. ტერიტორიაზე მოსაწყობი პარკინგების რაოდენობა დაზუსტდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების სტადიაზე. საპროექტო წინადადება არ ითვალისწინებს არსებული ფუნქციური ზონის ცვლილებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 26 ივნისის N16-01181772981 წერილის მიხედვით, ვინაიდან, საპროექტო წინადადება არ ითვალისწინებს არსებული ტერიტორიის ფუნქციის (სავაჭრო ობიექტები/ზაზარი) ცვლილებას და გულისხმობს საპროექტო ტერიტორიის როგორც ქალაქგეგმარებითი, ასევე ფუნქციური თვალსაზრისით მოწესრიგებას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური N01181074-67 (N01182035-67) განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად დაგეგმილი ფუნქციისა და ინტენსივობის ობიექტის განთავსების წინააღმდეგი არ არის შემდგომში საპროექტო ტერიტორიის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის წარმოდგენის პირობით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 24 მაისის N18-01181443290 წერილის მიხედვით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-8 მუხლის 1² პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან, N01181074-67 (N01182035-67) განცხადებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ მოიცავს გამწვანების პროექტის შესახებ ზოგად ინფორმაციას ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების (არსებობის შემთხვევაში) ხარისხობრივ შეფასებას (ტაქსაციას). შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს საპროექტო წინადადების მიზანშეწონილობაზე. ამასთანავე, აღნიშნული წერილის მიხედვით, შესაძლებელია გადასარგავი და საკომპენსაციოდ დასარგავი ხეები გათვალისწინებულ იქნას გამწვანების ზოგად მონაცემებში, რომლის დეტალური პროექტი უნდა დამუშავდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე.

ქალაქ თბილისში, გლდანის I მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, ფორე მოსულიშვილის ქუჩა N 1 / ქალაქი თბილისი, გლდანის I მიკრო/რაიონი, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.174) და ქალაქ თბილისში, ფორე მოსულიშვილის ქუჩა N1-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.130) არსებული მიწის ნაკვეთები უზრუნველყოფილია ყველა სახის საინჟინრო ინფრასტრუქტურით. საპროექტო წინადადება არ ითვალისწინებს არსებული ტერიტორიის ფუნქციის (სავაჭრო ობიექტი/ზაზარი) ცვლილებას და გულისხმობს საპროექტო ტერიტორიის, როგორც ქალაქგეგმარებითი, ასევე ფუნქციური თვალსაზრისით მოწესრიგებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, „ქალაქ თბილისში, გლდანის I მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, ფორე მოსულიშვილის ქუჩა N1/ ქალაქი თბილისი, გლდანის I მიკრო/რაიონი,

კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.174) და ქალაქ თბილისში, ფორე მოსულიშვილის ქუჩა 1-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: 01.11.12.015.130) არსებულ მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების პროექტის დამტკიცების საკითხი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

5. „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №13-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ (ს/კ: №01.15.04.017.027), 5 კვ.მ (ს/კ: №01.15.04.017.028) და 20 კვ.მ (ს/კ: №01.15.04.017.029) მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი-ემ-თი სასტუმროებისთვის“ (ს/ნ: 203842333) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-031826992-03);

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, კომპანიამ ითხოვა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარის გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად 5 წლის ვადით.

კომისიამ იმსჯელა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6. „ქალაქ თბილისში, აბანოს ქ. №8-ში მდებარე 44 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.04.019.048) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გე-ტე-გე“-სთვის (ს/ნ: 405150189) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-031826992-03);

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, კომპანიამ ითხოვა მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა, 2026 წლამდე, ღია კაფეს მოსაწყობად.

კომისიამ იმსჯელა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

7. „ქალაქ თბილისში, წავკისის ქ. #13-ში მდებარე 763 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: #01.15.05.087.019) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-031826992-03);

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ ითხოვა „ქალაქ თბილისში, წავკისის ქ. #13-ში მდებარე 763 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: #01.15.05.087.019) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 18 სექტემბრის #18.770.1136 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, წავკისის ქ. #13-ში მდებარე 763 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: #01.15.05.087.019) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, ლაშა სიგუას (პ/ნ: 01024016381) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ქავთარაძის ქუჩაზე და ვაჟა-ფშაველას შემაერთებელ გზაზე, II საავადმყოფო-პოლიკლინიკის მოპირდაპირედ არსებული 364 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: #01.14.03.038.018) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში უფლებრივად უნაკლო მდგომარეობით გადმოცემის სანაცვლოდ, ზემო აღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

კომისიამ იმსჯელა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხი გადადებული იქნას დამატებითი შესწავლის მიზნით.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა N 37ა-ში, ვერის პარკში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: **N01.15.03.010.089**) ა(ა)იპ - „საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისთვის“ (ს/კ **203845385**) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 28 სექტემბრის **N36.19.696** განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-0318271148-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას 2018 წლის 17 აგვისტოს და 21 აგვისტოს წერილებით მიმართა ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა და ითხოვა უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების სარგებლობის უფლების ვადის გაზრდა 10 წლამდე. როგორც წერილშია აღნიშნული, ა.ა.ი.პ. გამოთქვამს მზადყოფნას ერთი წლის განმავლობაში განახორციელოს სარემონტო სამუშაოები, რაზეც დაიხარჯება 515 000 ლარი.

კომისიამ იმსჯელა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

9. „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი №28-ის მიმდებარედ 30 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.15.05.010.032 პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაქრო ქონსტრაქშენის-თვის“ (ს/ნ: 445433120) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-0318271148-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, კომპანიამ მოითხოვა აღნიშნულ მისამართზე მდებარე მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით კომპანიისთვის გადაცემა ღია კაფეს მოსაწყობად.

კომისიამ იმსჯელა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

10. „სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/კ: 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-0318271148-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ ითხოვა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/კ: 204854595) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 26 სექტემბრის №18.797.1151 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/კ: 204854595) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა ბანკომატებისა ბანკის სერვის ცენტრის განთავსების მიზნით. უძრავი ქონების საიჯარო ქირის წლიური საფასური - 19452 (ცხრამეტი ათას ოთხას ორმოცდათორმეტი) ლარის ოდენობით.

კომისიამ იმსჯელა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

11. "ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი №67-ში მდებარე 18 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.17.12.009.008) პირდაპირი განკარგვის წესით სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/ნ: 204854595) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე " თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-0318271148-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, თბილისის მთავრობამ ითხოვა „ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი №67-ში მდებარე 18 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.17.12.009.008) პირდაპირი განკარგვის წესით სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/ნ: 204854595) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 13 სექტემბრის №18.755.1105 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი №67-ში მდებარე 18 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.17.12.009.008) პირდაპირი განკარგვის წესით სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/ნ: 204854595) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა ბანკომატებისა ბანკის სერვის ცენტრის განთავსების მიზნით. უძრავი ქონების საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2 200 (ორი ათას ორასი) ლარის ოდენობით.

კომისიამ იმსჯელა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

12. "ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის IV მიკრორაიონის, მე-2 კვარტალის, კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებული 2244 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.07.024.078) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-0318271148-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ ითხოვა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის IV მიკრო/რაიონი, კვარტალი 2, კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებული 2244 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.17.07.024.078) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად პრივატიზება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 26 სექტემბრის N18.796.1152 განკარგულების დანართით გათვალისწინებული ხელშეკრულების პროექტის პირობების შესაბამისად შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

კომისიამ იმსჯელა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

13. ქალაქ თბილისში, ნუცუბიდის ფერდობზე, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის მოწონების თაობაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-0318271149-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ ითხოვა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ნუცუბიდის ფერდობზე, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესი, „ქალაქ თბილისში, ნუცუბიდის ფერდობზე, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესახებ“ ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 26 სექტემბრის N18.792.1160 განკარგულების დანართების შესაბამისად. ინტერესთა გამოხატვის მიზანია ამ წესით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და შემდგომში საცხოვრებელი ფართების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემა. ქალაქ თბილისში, ნუცუბიდის ფერდობი მე-3 მიკრო რაიონი კვარტალი III, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 12 223.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი) ქონების საკადასტრო კოდი: 01.14.02.013.183) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად, პრივატიზება და პირობადებულ საკუთრებაში გადაცემა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირისთვის/პირთათვის. წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი წარმომადგენლებისთვის/ უფლებამონაცვლეებისთვის სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

14. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების განხორციელების შესახებ (12-0318271170-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილების შესაბამისად, დაზარალებული პირები (ოჯახები), რომელთა მიმართ მიმდინარეობს დახმარება იყოფიან ჯგუფებად: ა) I ჯგუფი - მესაკუთრეები; ბ) II ჯგუფი - „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის მართლზომიერი მფლობელები; გ) III ჯგუფი - „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში/სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის მოსარგებლები. შესაბამისად ფიზიკურპირებს, რომელთაც საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 ივნისის №274 დადგენილებით შექმნილი უწყებთაშორისი კომისიის მიერ განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში ჰქონდათ საცხოვრებელი სახლები, თუმცა რამდენიმე პირის მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის შესაბამისად ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით შექმნეს გაერთიანება (ამხანაგობა) და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად ქონება რეგისტრირებულია ამ გაერთიანების (ამხანაგობის) საკუთრებად, წესისსაფუძველზე მათი დახმარება ვერ ხორციელდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებით დამტკიცებულ წესში შევიდეს ცვლილება და თბილისის მუნიციპალიტეტს მიეცეს შესაძლებლობა დახმარება გაუწიოს პირებს, რომელთაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის შედეგად დაენგრათ/დაუზიანდათ საცხოვრებელი სახლი/სახლები. ასევე, დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინების იმ პირთა დახმარებას, რომლებიც წესის მიზნებიდან გამომდინარე არ ითვლებიან დაზარალებულ პირებად (ოჯახებად), თუმცა 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის დროს კანონიერი საფუძვლის გარეშე ცხოვრობდნენ უწყებთაშორისი კომისიის მიერ განსაზღვრულ ტერიტორიაზე და დაენგრათ მათ მფლობელობაში

არსებული სახლები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კომისიის მიერ განსაზღვრულ ტერიტორიაზე კანონიერი საფუძვლის გარეშე ასევე ცხოვრობდნენ ოჯახები, რომელთა საცხოვრებელი სახლები სტიქიის შედეგად დაზიანდა, თუმცა არ დანგრეულა და წესის საფუძველზე შესაბამისი რაიონის გამგეობები საცხოვრისების რეაბილიტაციას ვერ ახორციელებენ, შესაბამისად მიზანშეწონილია ასეთ პირებს საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ერთჯერადად გადაეცეთ ფულადი დახმარება.

პროექტის მიღება გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან. ამასთანავე დადგენილების პროექტი ცვლილების სახით ითვალისწინებს წესების გავრცელებას სხვადასხვა კატეგორიის პირებზე, ბიუჯეტის მიმართ გავლენის ოდენობის დაზუსტება მოცემულ ეტაპზე არ არის შესაძლებელი.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტოს მიერ რიგი ღონისძიებათა განხორციელების შესახებ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-0318271171-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ ითხოვა, შეწყდეს „ქ. თბილისის მერიასა და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს“ შორის დადებული „2008 წლის 20 თებერვლის „უძრავი ქონების ნასყიდობის და იპოთეკის N1137/1 ხელშეკრულება“ (მასში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით) და გაუქმდეს ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულებები, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტოს მიერ რიგი ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 28 სექტემბრის N18.805.1184 განკარგულების დანართის შესაბამისად. ასევე ითხოვა „ქ. თბილისის მერიასა და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს“ შორის დადებული „2008 წლის 20 თებერვლის „უძრავი ქონების ნასყიდობის და იპოთეკის (N1137/1 ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების ვადაგადაცილებით შესრულების ან/და შეუსრულებლობის გამო დაკისრებული/ დასაკისრებელი პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ გათავისუფლება.


გამოცხადებული აუქციონის №384-16-21783 ხელშეკრულებით
გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე" თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების
თაობაზე (12-031827414-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, კომპანიასა და ქონების მართვის სააგენტოს შორის 2017 წლის 7 დეკემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების საფუძველზე, აუქციონის ფორმით გადაეხა ქ. თბილისში, ბაგებში, იმედაძის პირველი ჩიხი #7-ის მიმდებარედ, 164 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. აუქციონის შედეგად ქონების სრული საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა 30 900 ლარის ოდენობით. ხელშეკრულების თანახმად, აუქციონის პირობებად განისაზღვრა „ბ“ ქვეპუნქტი: ხე-ნარგავების შენარჩუნების პირობით; „გ“ ქვეპუნქტი: შეზღუდვა დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე. #01.14.08.006.034 საკადასტრო კოდის მომიჯნავე საკადასტროებთან გაერთიანების შემდგომ მშენებლობის განხორციელების შეზღუდვა მოეხსნა, რაც შეეხება ხეებს, დასკვნით ფიქსირდება რომ ხეები არ ექვემდებრება გადარგვას და არის მოსაჭრელი. თბილისის მთავრობამ განუსაზღვრა პირობა, ხეების მოჭრა განხორციელდეს, მაშინ როცა კომპანია წარმოადგენს საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვის თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელშიც უნდა მიეთითოს შესყიდული ხეების სახეობა.

კომისიამ იმსჯელა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხი გადადებული იქნას დამატებითი შესწავლის მიზნით.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე



რევაზ სოხაძე